გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 12
(11 673)

21 – 24 თებერვალი (პარასკევი – ორშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## „ოლიმპიური ფონდი" – რეალობაში!

# ახალი სტიმული – ყოველწლიური კონკურსი!

საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა, რომელიც შარშან შეიქმნა და სათავეში თვით მისი დამფუძნებელი სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ჩაუდგა, უკვე მოასწრო და არაერთხელ გააკვირვა სიტყვისა და საქმის ერთიანობას გადაჩვეული საზოგადოებრიობა. ითქვა – გაკეთდა! მოკლედ. ასე შეიძლება გამოიხატოს ამ ფონდის დევიზი.

საქართველო
GEORGIA

გაკეთებულ საქმეთა ნუსხაში ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიებაა „ოლიმპიზმის, ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის საკითხებზე სამეცნიერო, სამეცნიერო მეთოდური გამოკვლევების შესრულებისათვის პროფესორ ა. ციბაძის სახელობის კონკურსი", რომლის პირველი შედეგები (2002 წლის) ამ დღეებში შეაჯამა სეოკ-ის ალმასკომმა. რაც მთავარია,

(იხ. მე-2 გვ.)

## მიუნხენი ჰამბურგმა შეცვალა



ძიუდოისტთა უმაღლესი კატეგორიის ტურნირთა შორის მიუნხენის ტურნირი ყოველთვის გამორჩეული იყო. ასეა ახლაც, მაგრამ იყოო ვთქვით იმიტომ, რომ ასპარეზობამ მისამართი შეიცვალა – ამიერიდან იგი გერმანიის სხვა ქალაქში, კერძოდ, ჰამბურგში ჩატარდება. წლევანდელი სალიცენზიო ტურნირების სათვალავში იგი ჯერ კიდევ სასტარტოდ ითვლება. წინა ტურნირებს თუ გადავხედავთ, ჩვენი ეროვნული ნაკრები სოლიდურად გამოიყურება და, იმედია, ჰამბურგში ამ შაბათ-კვირას ასპარეზობისას ისინი ესოდენ საჭირო სალიცენზიო ქულებს კიდევ შემატებენ თავიანთ მონაგარს. ამასთან, ტურნირის შემდეგ ერთი კვირით იქვე დარჩებიან ერთკვირიან საწვრთნო შეკრებაზე.

სხვათა შორის, გერმანიაში გამგზავრების წინ კვლავ შეიქმნა გუნდის შინ დარჩენის საფრთხე, ვერა და ვერ შეიგნო ამ ხალხმა, რომ შეჯიბრება კალენდრითაა დათქმული და ამა თუ იმ გუნდს ვერ დაელოდება, ვიდრე ის ფულს იშოვნის. კიდევ ერთხელ ჩავარდა სპორტის დეპარტამენტი და ძიუდოს ფედერაცია გამოუვალ მდგომარეობაში და კიდევ ერთხელ მოევლინა მხსნელი – ამ დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლერი ხაბელოვმა პირადი ნდობით მოისესხა საჭირო თანხა და ნაკრებიც გზას გაუდგა. თუ რა განწყობით, ეს სხვა საქმეა!

მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ჩვეული სიდინჯით აწონდაწონა და გაითვალა ყველაფერი, ნაკრების საჰამბურგო ვარიანტიც ასე შეარჩია. აი როგორ გამოიყურება იგი: ნესტორ ხერგიანი და ლაშა სარდანაშვილი (ორივე – 60 კგ), დავით მარგოშვილი და მინდია ხომიზური (ორივე – 66), დავით ბოდაველი (77), გრიგოლ შინჯიკაშვილი (81), ივერი ჯიქურაული და გია გუგავა (ორივე – 100), ზვიად ხანჯალიაშვილი და ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე).



## შაბათის გამარჯვების მოლოდინში!

# მორაგბეები დონ კიხოტის და სანჩო პანსას სამშობლოდან

ხვალ, 22 თებერვალს, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშების მეორე ტურში ესპანეთის ნაკრებს მასპინძლობს. როგორც იცით, „ბორჯღალოსნებმა" პირველი მატჩი პორტუგალიელებთან სტუმრად დათმეს 30:34. მატჩის შემდეგ ქართველ მორაგბეთა მთავარმა მწვრთნელმა მარცხი იმას დააბრალა, რომ მისი შეგირდები ბურთს ხშირად ჰკარგავდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ შეხვედრის შედეგზე დიდი გავლენა იქონია მსაჯმა, რომელმაც „ბორჯღალოსნებს" 2 ლელო არ ჩაუთვალა. ასეა თუ ისე, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ერთა თასის წლევანდელი ტურნირი წაგებით დაიწყო და, ცხადია, ესპანელებთან მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. ამის მიღწევა რეალურად შეიძლება, რადგან ესპანეთის ნაკრები ძლიერი მეტოქე ნამდვილად არ არის, თუმცა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

საქართველოს ნაკრები ხვალინდელი მატჩისათვის შემდეგი შემადგენლობით ემზადება: გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ტარიელ რატიანიძე, დავით ხინჩაგაშვილი, სოსო ნიკოლაენკო, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ზვიად მათიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, დავით ბოლღაშვილი, გრეგუარ იაშვილი, ილია ზედგენიძე, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ვასილ კაცაძე, ბადრი ხეხელაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი გუნდიშვილი, ირაკლი გიორგაძე.

როგორც ხედავთ, კლოდ სორელს შემადგენლობა არ შეუცვლია. გუნდს კვლავ ვერ დაეხმარებიან გია ლაბაძე და ლევან ცაბაძე.

ახლა რაც შეეხება, ესპანეთის ნაკრებს, რომელიც ოთხშაბათს გვიან ჩამოფრინდა თბილისში. ესპანელები რუსებთან გამანადგურებელ მარცხის შემდეგ (19-52) სერიოზულად ემზადებიან „ბორჯღალოსნებთან" საბრძოლველად.

სტუმრები შემდეგი შემადგენლობით ჩამოვიდნენ: ხავიერ სალასარი, მარკოს მელა, ანტონიო ორტეგა, როხერ რიპოლი, დავიდ მონრეალი, სტივ ტუინიუ, სერხიო სოუტო, იგნასიო ლა მაცა, მიგელ აბრილი, ივან კრიადო, რამირო სალასარი, ალფონსო მატა, ანტონიო ბელტრანი, პაბლო ფეიხე, ანდრე კოვალენკო, ალვარო ენსიზო, ფერნანდო დიესი, სებასტიან ლუბსენსი, მანუელ კასკარა, მიგელ ფრეჩიდა, ხაიმე ნავა, ფერან ველასკო.

დღესვე რუმინეთის ნაკრები პორტუგალიის ნაკრებს მასპინძლობს, ხოლო ჩეხეთის და რუსეთის ნაკრებთა მატჩი გადაიდო.

## ნომერში წაიკითხავთ:

- ცხადდება ოლიმპიური ფონდის ახალი კონკურსი
- ვლადიმერ სტეფანია ამერიკაში ოჯახს არ შექმნის
- 80 წლის მოტომრბოლი „მერსედესს" გაეჯიბრა...
- 101 ვარჯიში ნორჩი ფეხბურთელებისთვის
- ცნობილი მორაგბე ბრიემა იმსხვერპლა...
- რა ღირს კლიჩკოს ხელთათმანი?
- კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

# გაზეთის დაბეჭდვამდე:

## იუჰანსონი კონტრრევოლუციას იწყებს

როგორც ცნობილია, ორი კვირის წინათ, ე.წ. „გ-14"-ის წევრმა საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ევროპულ ფეხბურთში რეფორმების შესახებ. ისინი 2006 წლიდან აპირებენ ჩაატარონ კონტინენტის სუპერჩემპიონატი, რომელიც დაიყოფა ორ ელიტურ დივიზიონად. ასეთი წამოწყების უარყოფითი მხარე ის არის, რომ ელიტურ დივიზიონებში საასპარეზოდ ხელი არ მიუწვდებათ პოლონეთს, ჩეხეთს, ბულგარეთს და სხვა იმ ქვეყნებს, სადაც ამჟამად ევროპული გრანდები არ არიან.



ცხადია, „გ-14"-ის ამგვარი ინიციატივა მხედველობიდან არ გამორჩენია უეფას, რომელიც თავის მხრივ გეგმავს გარკვეულ რეფორმებს და ეს გასაგებიცაა. ლენარტ იუჰანსონი და კომპანია, ცდილობენ ისეთი ნაბიჯები გადადგან და ტურნირების ისეთი სისტემა ჩამოაყალიბონ, უკეთესის შექმნა რომ ველარავინ მოიფიქროს.

მაინც, რას აპირებს ლენარტ იუჰანსონი? პირველ რიგში, — ჩემპიონთა ლიგიდან მეორე ჯგუფური ეტაპის „მოხსნას", რაც ნიშნავს იმას, რომ პირველი ჯგუფური ეტაპის შედეგებით გამოვლენილი 16 საუკეთესო გუნდი ოლიმპიური სისტემით გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონთა თასისათვის. ამით, ამჟამინდელი სისტემა უფრო გამარტივდება და შემცირდება მატჩების რაოდენობაც. გარდა ამისა, იუჰანსონი გაცილებით მეტ თავისუფალ დღეებს გამოჰყოფს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩებისათვის.

## ეგვიპტე – ქუვეითის მატჩი გადაიდო

ეგვიპტის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ 3 მარტს დანიშნული ამხანაგური მატჩი ამ ქვეყნისა და ქუვეითის ფეხბურთელთა ნაკრებებს შორის, გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამის მიზეზი, ახლო აღმოსავლეთში ომის დაწყების საშიშროებაა. ეგვიპტელებმა უკვე მოილაპარაკეს ქუვეითელებთან და ამხანაგური მატჩის ახალი თარიღიც დაადგინეს — 20 ოქტომბერი.

## ქინქლაძის შეფს დისკვალიფიკაცია მისცეს

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მისცა გიორგი ქინქლაძის კლუბ „დერბი ქაუნთის" პრეზიდენტს ჯონ გრეგორის იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა „პორტსმუტთან" ამასწინანდელი მატჩის დროს უცენზურო სიტყვით მიმართა „პორტსმუტის" წარმომადგენელს სტივ ტომლინსტონს. ეს შეხვედრა, როგორც იცით, ქინქლაძემ და მისმა თანაგუნდელებმა 2-6 დათმეს.

## ბელარუსში სადამ ჰუსეინის შვილს ეპატიჟებიან

მინსკში ხელი მოეწერა ბელარუსისა და ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას. ბელარუსის ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტმა ნიკალო ანანიევმა განაცხადა, რომ ხელშეკრულება მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობაში ერთობლივი საწვრთნელი შეკრებების ჩატარებას, კადრების ურთიერთგაცვლას და ა.შ. ანანიევის განცხადებით, ის მოხარული იქნება, თუ 20-30 მარტს, მინსკში, ალექსანდრ მედვედის სახელობის მოჭიდავეთა ტურნირზე დასასწრებად ჩავა ერაყის ეოკ-ის პრეზიდენტი, სადამ ჰუსეინის შვილი — უდეი.

## „უილიამსმა" და „მაკლარენმა" საავტომობილო ფედერაციას უჩივლეს

„ფორმულა 1"-ის წამყვანმა კლუბებმა „უილიამსმა" და „მაკლარენმა", რომლებიც ნეგატიურად არიან განწყობილი მსოფლიოს საავტომობილო ფედერაციის მიერ შემოღებული ახალი წესებით, ამ უკანასკნელს სასამართლოში უჩივლეს. კერძოდ, „უილიამსი" და „მაკლარენი" წინააღმდეგი არიან იმისა, რომ საკვალიფიკაციო და ძირითად რბოლებს შორის არსებული დრო კიდევ უფრო შემცირდეს.



„ფედერაციის პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ ახალი წესები „ფორმულა 1"-ის კლუბებთან შეუთანხმებლად მიიღო" — განაცხადა „მაკლარენის" ხელმძღვანელმა რონ დენისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 6 თვე დარჩა

torino 2006

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

## უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

## ახალი სტიმული – ყოველწლიური კონკურსი!

*(პირველი გვერდიდან)*

ასეთი კონკურსები ტრადიციული გახდება და სულ უფრო მეტ ნომინაციებს მოიცავს. ამ სიახლემ უკვე იჩინა თავი 2003 წლის საკონკურსო პირობებში.

ახლა კი გაგაცნობთ 2002 წლის კონკურსის შედეგებს. სეოკ-ის აღმასკომის გადაწყვეტილებით 2002 წლის პრემია (500 ლარი) მიენიჭა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის უფროს მასწავლებელს თენგიზ გიორგაძეს წიგნისათვის „ქართული ჭადრაკის მატიანე" (სამ წიგნად, გამოცემული 1995-2000 წლებში) და სპორტულ ჟურნალისტიკაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

## დებულება

*ოლიმპიზმის, ოლიმპიური მოძრაობის, უმაღლესი და მასობრივი სპორტის საკითხებზე სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური გამოკვლევებისა და პუბლიცისტური მასალების შესრულებისათვის პროფ. ა. ციბაძის სახელობის 2003 წლის კონკურსის შესახებ.*

1. პროფ. ა. ციბაძის სახელობის 2003 წლის კონკურსი მოეწყოს 2003 წლის განმავლობაში. მასალების წარმოდგენა მოხდეს 2003 წლის 20 ნოემბრისთვის.

2. კონკურსის ჟიურის მოვალეობა ეთხოვოს სეოკ-ის საინფორმაციო – საგამომცემლო და ოლიმპიზმის პროპაგანდის კომისიას (ბ-ნი ე. ბერიშვილი) საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ აკადემიასთან ერთად (ქ-ნი ლ. აფციაური).

3. 2003 წლის კონკურსი ჩატარდეს შემდეგ ნომინაციებში:

– სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური გამოკვლევა. შესრულებული 2000-2003 წლებში. ერთი პრემია 400 ლარის ოდენობით.

– სახელმძღვანელო, სამეცნიერო-მეთოდური ნარკვევი, შესრულებული 1998-2003 წლებში. ერთი პრემია 500 ლარის ოდენობით.

– წიგნი, ბროშურა (მასობრივი ტირაჟირებით), შესრულებული 2002-2003 წლებში. ორი პრემია, თითოეული 300 ლარის ოდენობით.

– პუბლიცისტური წერილები, ნარკვევები (მასმედია, ტელევიზია, რადიო), შესრულებული 2003 წელს. სამი პრემია თითოეული 200 ლარის ოდენობით.

4. თითოეულ ნომინაციაში მასალების წარმოდგენა შეუძლიათ როგორც ორგანიზაციებს, ასე თვით ავტორებს ან ავტორთა ჯგუფს.

5. კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება მოხდება სეოკ-ის ყოველწლიურ სესიაზე, სეოკ-ის სიგელებით აღინიშნება კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო ნაშრომები.

## ოლიმპიადას ბერძენთა მეფეც დაესწრება

საბერძნეთის ხელისუფლებამ ნება დართო ქვეყნის ყოფილ მეფეს კონსტანტინეს, დაესწროს ათენის ოლიმპიურ თამაშებს. საბერძნეთის მონარქმა სამშობლო 1967 წელს დატოვა. 1994 წელს მას არ მისცეს ახალი ბერძნული პასპორტი, თუმცა ამაში დამნაშავე თავად მეფეა, რომელმაც პასპორტში გვარის ჩაწერა არ ისურვა.

**სპორტი ყველასათვის!**

## თერჯოლაში მასობრივ სპორტს არ ივიწყებენ

თერჯოლა ჩვენი ქვეყნის იმ რაიონების სათვალავშია, სადაც მიუხედავად თავის არიდების მრავალი მიზეზისა, სპორტული მუშაობა არ ჩამკვდარა და ამისათვის უპირველესად მადლობას იმსახურებენ სპორტული მუშაკები, რომელთა მოვალეობას გაგებით ეკიდება ადგილობრივი ხელმძღვანელობა.

ბოლო ხანებში აქ თითქმის მთელი თვე დაეთმო სპორტს – რაიონის პირველობები ჩატარდა ყველასათვის ხელმისაწვდომ სპორტის სახეობებში – მაგიდის ჩოგბურთში, ნარდში, შაშში, მკლავჭიდში.

**მაგიდის ჩოგბურთში** ადგილები ასე განაწილდა: 1. ხვიჩა ობოლაძე, 2. ზაზა სახელაშვილი (ორივე – თერჯოლა), 3. ანტონ ჩარექიშვილი; **შაში:** 1. ლევან რობაქიძე, 2. ლევან კვატაია, 3. მალხაზ ამბროლაძე (სოფ. გოდოგნა); **მკლავჭიდი** (აბსოლუტური პირველობა): 1. კობა გავაშელიშვილი (სოფ. ღვანკითი), 2. არსენ ნიკოლაძე (ნახშირღელე), 3. ზვიად გაბრიჭიძე (ჩხარი). **ნარდი:** 1. მამუკა კვატაია, 2. კობა კვატაია (ორივე – სიქთავრა), 3. გიორგი ფორჩხიძე (თერჯოლა).

რაიონის სპორტკომიტეტმა (თავმჯდომარე – ვალტერ გოგიაშვილი) გამარჯვებულები და პრიზიორები დააჯილდოვა დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. ნარდში გამარჯვებულ მამუკა კვიტაიას გადაეცა ქალაქის საკრებულოს სპეციალური პრიზი – ვერცხლის კამათელი.

**კოტე ჩარექიშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, ქ. თერჯოლის სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორი.

# „რკინის რაშის" მოთვინიერებელი

**ჟამგდარი**

მეორე შემთხვევაა, როცა 80 წელს მოთეულ ღვაწლმოსილ ადამიანზე ვწერ. ძალიან მსურს ხშირი იყოს ასეთი ფაქტები. სპორტი დღეგრძელობაა, – მთელი ცხოვრება მესმის. აგერ კიდევ ერთი დასტური – რვა ათეული წლისა მოყრილა ავთანდილ გუნია, რომელსაც მართლა, რომ დაუმარცხებია ასაკი. ეს კაცი კვლავ ენერგიული შემართებითაა და პირადი სიამოვნებისთვის თუ ახალგაზრდული ჟინის დასაოკებლად, არც მოტოციკლით ჯირითს გაურბის თბილისის ქუჩებში თუ ავტოტრასებზე.

ავთო გუნია „ლელოს" სტაჟიანი მეგობარია. მის თვალწინ ამ გაზეთის, – ქვეყნის სპორტული მემატიანის არაერთმა თაობამ ილვაწა. ის კი ამ გაზეთის ყველა დროის მარად სასურველ კონსულტანტად რჩება.

ამ ორი წლის წინათ, ჩვენი გამომცემლობის ეზოდან მოტოციკლით გამოდიოდა (რედაქციის მეზობლად ცხოვრობს). „გამაბრიყვა" და რკინის რაშის უნაგირზე შემომისვა. გაქანდა, თავისუფლების მოედანს შემოუარა, ფილარმონიასთან შემოუხვია და რედაქციაში „მიმიყვანა" – ფაქტობრივად იქვე, სადაც უნებლიედ მისი თანამგზავრი გავხდი. იმ რამდენიმე წუთის განცდას ვერ აგიწერთ და არც შევეცდები. უბრალოდ, ის პერიოდი გამახსენდა, როცა ხალხში იწვევდა საფირმო მანქანის გამოჩენა, ახლა კი საფირმო ავტომობილების ნიაღვარში, ამ ძველი მოტოციკლის ბრუხუნი იპყრობდა ყურადღებას.

„ამას წინათ, რატომღაც მომესურვა ჩემი „რაშით" მაღალი სიჩქარით გამეჯირითა. თბილისის ქუჩებში ეს შეუძლებელია, ამიტომ მცხეთის გზა ავირჩიე. 175 კმ. სიჩქარე ვაჩვენე და „მერსედეს" რომ ჩავუქროლე, მაშინ ვიგრძენი, რომ არც მე ვარ ხანდაზმული და არც ჩემი „ბედაური" – გვიამბობს 80 წლის იუბილარი.

არადა, ეს „ჰონდაი" დიდი ხნის ჩამოწერილი იქნებოდა. ჩემი ბრალია! ნაგანოში, 1998 წელს, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრების წინ მთხოვა, ე.წ. „სვეჩები" ჩამომეტანა მისი „ბებერი" ორთვალასთვის. სად არ გავიკითხე, ვერსად მივაკვლიე. ბოლოს საქართველოდან ჩასული ჟურნალისტები ერთად ჩავერთეთ ძიებაში. თქვენ წარმოიდგინეთ, ბედმა გაგვიღიმა. ეს კი ასე მოხდა: იმ გრძელ ქუჩაზე, რომელსაც სასტუმროს ქალაქის ცენტრთან აკავშირებდა და უამრავი ავტო-მოტო მაღაზია იყო განთავსებული, ორივე მხარეზე გადავნაწილდით. ყველგან გაიკვირვეს. წარმოიდგინეთ ტექნიკურად ასე დაწინაურებული ქვეყანა და იქ, რომელიღაც უძველესი მოდელის მოტოციკლის ნაწილის მოძიება. იყო უსაშველო გადარეკ-გადმორეკვა, ერთგან კი... დაელოდეთო, – გვთხოვეს. ნახევარ საათში მოგვართვეს... იმ დღიდან იმ ქუჩას, ქართველმა ჟურნალისტებმა „გუნიას ქუჩა" დავარქვით.

სპორტის სტაჟიანი გულშემატკივარი და „ლელოს" მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ ვეტერან ველომოტომრბოლზე ავთანდილ გუნიაზეა ლაპარაკი, რომლის სპორტსმენობისდროინდელი სახელი საარაკო ამბებით შემორჩა თაობათა მეხსიერებას.

მაგრამ ჯერ მის სპორტულ ბიოგრაფიას გადავხედოთ. ათვლა კი იწყება ყმაწვილობიდან, როცა უფროს დავით ყიფიანთან ერთად ბურთს დასდევდა. მერე კი გაიოზ ჯეჯელავასთან აღმოჩნდა სექციაში.

„ველოსპორტზე წამოხვალ" – გამოუცხადა ერთ დღეს დედის ძმამ – ცნობილმა ველომრბოლმა, გიორგი ლეჟავამ. ეს უკვე საბოლოო არჩევანი იყო.

გაგანია ომის მიუხედავად, ქვეყანაში სპორტული შეჯიბრებები მაინც ტარდებოდა. საქართველოს ჩემპიონი პირველად 1943 წელს გახდა და 1953 წელს წარმატებებით დახუნძლულმა გაანება თავი ველოსპორტს, მოტოსპორტზე გადაინაცვლა. დადგა ახალი მიღწევების დრო, რაშიაც დიდი წვლილი შეიტანა მექანიკოსმა შალიკო სუხიშვილმა (ილიკო სუხიშვილის ძმა). მალე გაითქვა სახელი მთელ საბჭოთა კავშირში, მაგრამ ველოსპორტისა არ იყოს, დიდი ქვეყნის ჩემპიონი ვერა და ვერ გახდა, გამარჯვებულებთან წამებს აგებდა ხოლმე...



ავთო გუნია თავისი თაობის სპორტსმენთაგან ბევრი რამით გამოირჩეოდა. მოტოციკლთან თავზეხელაღებამდე გაშინაურებაზე არ არის მხოლოდ ლაპარაკი, სადაც იყო, ყველგან სიხალისე შეჰქონდა – იუმორითაც გამოირჩეოდა და ენაწყლიანობითაც, ვაჟკაცობითაც და გულთბილობითაც. უყვარდათ და უყვარდა. ასე, თაობიდან თაობებში გადადიოდა ეს სიყვარული, რადგან პიროვნულად არასდროს შეცვლილა...

1956 წელს ტალინმა სსრ კავშირის ჩემპიონატს უმასპინძლა მოტოკროსში. „ჩინებულად ვიყავი მომზადებული, ჩემპიონი უნდა გავმხდარიყავი. მაგრამ... როცა ფინიშამდე ბევრი აღარ მრჩებოდა, უახლოეს მდევარს კი წუთნახევრით ვუგებდი, რაც დიდი ფორაა, მოულოდნელად მოტოციკლეტი გაითიშა. მექანიკოსს მოახლოების უფლება არ ჰქონდა, მეტოქეებმა რომ ჩამიქროლეს, ერთმა მაყურებელმა თმასავით წვრილ მავთულზე მიმანიშნა, შევაერთე და... მანქანა დაიქოქა, რა უნდა მექნა? ამხელა კაცმა თავი ვეღარ შევიკავე და ტირილი ამივარდა" – იგონებს ახლა.

აი, ასეთია სპორტი, ტკბილმწარე განცდებით და მოგონებებით. ბევრი აქვს მოსაგონარი და განა მხოლოდ ველო-მოტოსპორტის სამყაროდან. ამ კაცს ქართული სპორტის ცოცხალ ენციკლოპედიად მიიჩნევენ – ყველაფერი იცის, ყველაფერი ახსოვს, უმნიშვნელო დეტალებიც კი. მეხსიერებას არ უჩივის, სხვათა შორის, ამ ხნის კაცს, ჯერ სათვალეც არ აუღია ხელში.

თავის დროზე ომარ ფხაკაძის მწვრთნელიც იყო. ოლიმპიურ თამაშებზე ახლდა მეხიკოში, სადაც ჩვენი სპრინტერის დრამატული მოვლენები მის თვალწინ დატრიალდა. მიმდინარეობდა მერვედფინალური რბოლა, ომარის მეტოქე, რომელსაც ზედა პოზიცია ეკავა, უეცრად მოცურდა, დაეჯახა ჩვენს სპრინტერს და წაქცეულს ზემოდან დაეცა. ომარი დაშავდა. ეს ფაქტი და შემდგომი დაძაბული ვითარება, სინანულით მოსაგონებლად შემორჩა მწვრთნელსაც.

1957 წელს, თბილისში, სანაპიროზე საერთაშორისო წრიული მოტორბოლა ტარდებოდა. ავთო გუნია აბსოლუტური გამარჯვებული გახდა. მაშინ ეს აღიქვეს სენსაციად, რადგან ამ მრბოლს სპორტი უკვე სამი წლის წინათ ჰქონდა თავმინებებული. ასპარეზობას თვალს ადევნებდა საბჭოთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელმაც სიმბოლურად მაინც შეიყვანა ჩვენი ვეტერანი რჩეულთა სიაში. მოსკოველი სტუმარი უფრო გაოცდა, როცა უთხრეს – მაგ „მოხუცს", თბილისის ცირკის კიბეები ავლილი აქვს მოტოციკლითო.

... ოჯახი არ შეუქმნია, მაგრამ მისი ბინის კარი, ვერაზე, ღიაა მუდამ. ნათესაობა და მეგობრები აქ ხშირად იკრიბებიან. ავთო ყველას სანაქებოდ უმასპინძლდება. ეს ძველი, მამისეული ბინა ახლა XX საუკუნის ველო-მოტოსპორტის მინიმუზეუმადაა ქცეული. აქ თავმოყრილი უამრავი სუვენირი, ფოტოდოკუმენტი, თუ პრიზი, უკვე ისტორიული მნიშვნელობისაა და, რაც დრო გავა, უფრო ძვირფას რელიქვიად იქცევა თითოეული მათგანი.

ავთო გუნია იმ მოდგმისაა, რომლის წინაპარი ღრმა მოხუცებულობამდე მხედრად რჩებოდა. ეს კაცი კი „რკინის რაშიდან" არ ჩამოდის. გენს თავისი გააქვს.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**P.S. პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ველოსკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ავთანდილ გუნია, სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით".**

## ლელო მატიანე 50 წლის წინათ

**ბათუმი** (კალათბურთი). „დინამოს" სამეფო სკოლების ნორჩ კალათბურთელთა შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს თბილისის წარმომადგენლებმა. ჭაბუკებში მე-6, გოგონებში – მე-3 სკოლის გუნდებმა.

**ბათუმი** (ჭადრაკი). აჭარის 1953 წლის პირველობა ჭადრაკში მოიგო პირველთანრიგოსანმა პ. მორჩილაძემ (ქობულეთი).

**მაიაკოვსკი** (ტურიზმი). სოფ. ობჩის საშ. სკოლის მოსწავლეებმა ლაშქრობით გაიარეს ობჩა-ჩენობოურის – საკრაული – ობჩას მარშრუტი.

**თბილისი** (იპოდრომი) დელისის მიდამოებში დაიწყეს სახელმწიფო იპოდრომის მშენებლობა.

**თბილისი** (თავ. ჭიდაობა). დედაქალაქის პირად პირველობაში თავისუფალ მოჭიდავეთა შორის წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. ხაჩატურიანმა, მ. ცალქალამანიძემ, დ. ჩლიქაძემ, ნ. ნინიაშვილმა, გ. ბარბაქაძემ, გ. სხირტლაძემ, ა. სიხარულიძემ და ვ. ლაფაურმა.

**ფოთი** (ჭადრაკი). საქალაქო.

**ბათუმი** (ქართ. ჭიდაობა). პედაგოგიური ინსტიტუტის პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით უძლიერესის სახელი მოიპოვეს: ბ. მიქელაძემ, ა. გოგიბერიძემ, ს. კუტუბიძემ, გ. მოსიაშვილმა, ე. ჩხაიძემ, ჯ. სარჯველაძემ, გ. ჭყონიამ.



სამბოში 1953 წლის ვიცე-ჩემპიონი – საქართველოს ნაკრები. ვინ არიან ისინი? გთხოვთ შეგვეხმიანოთ. (ფოტო „ლელოს" არქივიდან).

# ვლადიმერ სტეფანია: მოსკოვში მე „კავკასიური ეროვნების პირი ვარ“



– ვლადიმერ სტეფანიას კარიერა ნბა-ში იოლი არ ყოფილა. ამასთან, დღეს „მაიამის“ ცენტრს აშკარად სწყალობს ბედი. ალბათ ამიტომაც, როცა ქართველ ლეგიონერს მივმართე თხოვნით „სოვეტსკი სპორტისთვის“ ინტერვიუზე, სახეზე კეთილმა ღიმილმა გადაუარა.

● ***მოდი დავიწყოთ სულ თავიდან, როგორ ეზიარეთ კალათბურთს?***

— როცა თბილისში, სკოლაში ვსწავლობდი, ჩვენთან მწვრთნელი მოვიდა, ჩაგვამწკრივა ყველა და მე მომმართა: „შენ ყველაზე მაღალი ხარ, კალათბურთს ითამაშებ“. მაგრამ კალათბურთს სერიოზული ყურადღება მივაქციე მხოლოდ 15 წლისამ. მანამდე ცურვაზე დავდიოდი.

● ***როგორ აეწყო კარიერა?***

— 16 წლისა წავედი საქართველოდან, საბერძნეთში მოვსინჯე თავი, მერე სლოვენიაში გადავედი. 1998 წელს დრაფტის პირველ წრეში ნბა-ს კლუბმა „სიეტლმა“ შემარჩია. შემოდგომაზე კი უკვე მსოფლიოს საუკეთესო საკალათბურთო ლიგის დებიუტანტი გავხდი. ორი წლის შემდეგ გადავედი „ნიუ-ჯერსში“, კიდევ ერთი სეზონის შემდეგ — „მაიამიში“.

● ***თქვენ მუდმივად ცხოვრობთ მაიამიში, როგორ მოგწონთ?***

— ძალიან მომწონს. აქ კარგი რუსული თემია: თითქმის სამასი ათასია ჩამოსული ყოფილი საბჭოთა კავშირიდან. შესაძლოა ქალაქი ძალიან სპორტული არ არის, მაგრამ გართობა აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება. კლიმატი კი მაიამიში გაცილებით უკეთესია, ვიდრე სიეტლში, სადაც ხშირია წვიმები, ნისლი ... განწყობაც შესაფერისი უჩნდება კაცს. თუმცა, მაიამიში, ზაფხულში, რა თქმა უნდა, ცოტა ცხელა კიდეც. ახლა გადაბარგების პროცესში ვარ. მინდა საქართველოდან ჩამოვიყვანო ჩემი ოჯახი — მამა, ძმა.

● ***რუსეთის საკალათბურთო პირველობას თვალს თუ ადევნებთ?***

— პირველი ორი წელიწადი რეგულარულად ვინტერესდებოდი, მერე იშვიათად. ძირითადად კალათბურთელთა წინამორბედ თაობას უფრო ვიცნობ. ბევრთან მითამაშია კიდეც.

● ***არასდროს გაგჩენიათ სურვილი გეთამაშათ რუსეთის ჩემპიონატში?***

— დედა რუსი მყავს, მამა — ქართველი. ასე რომ, მოსკოვში მე „კავკასიური ეროვნების პირი ვარ“ (იცინის). არ ვფიქრობ, რომ ამასთან დაკავშირებით გამიჩნდეს რაიმე პრობლემა, მაგრამ მაინც, ახლა არ ვისურვებდი მეთამაშა რუსეთში. თუმცა თქვენი ქვეყანა და რუსი ხალხი ძალიან მიყვარს. რეგულარულად ვკითხულობ რუსულ პრესას და ვუყურებ რუსულ სატელევიზიო გადაცემებს.

● ***რას ფიქრობთ ანდრეი კირილენკოზე, მოგწონთ მისი თამაში?***

— ჩემი შეხედულებით ანდრეი ძლიერი კალათბურთელია. ვფიქრობ, მას კარგი მომავალი აქვს.

● ***რა გიტაცებთ ცხოვრებაში გარდა კალათბურთისა?***

— მიყვარს ხატვა. ბევრს ვკითხულობ. ძირითადად უპირატესობას რუსულ წიგნებს ვანიჭებ.

● ***გოგონები?***

— საცოლე არ მყავს. საქმე იმაშია, რომ ახლა ნორმალური, კულტურული გოგოს პოვნა ძნელია. ამასთან, ამერიკელებთან როგორღაც არ გამომდის ურთიერთობა, ბევრ რამეში ვერ ვთანხმდებით შეხედულებებზე.

● ***მეგობრები ბევრი გყავთ?***

— ძალიან გამიმართლა, რომ ჩემს ცხოვრებაში არიან ადამიანები, რომლებსაც შემიძლია დავეყრდნო. მჯერა, რაც უნდა მოხდეს, ისინი მუდამ ჩემთან იქნებიან. ამას მიუმატეთ ჩემი ძმა და მშობლები. მოკლედ, საკმარისია ვიწრო, მაგრამ ახლობლების წრე.

● ***ამერიკაში დარჩენას გეგმავთ?***

— ჯერ არ ვიცი. თუ ოჯახს შევქმნი, არ მსურს ჩემი შვილები აღიზარდონ ამერიკაში. ვფიქრობ, აქაური საზოგადოება მაინცდამაინც ჯანსაღი არ არის ფსიქოლოგიურად და მორალურად.. აი, ევროპაში სიამოვნებით ვიცხოვრებდი, მაგალითისთვის, თუნდაც შვეიცარიაში. ასეთ პატარა ევროპულ ქვეყნებში, ჩემი შეხედულებით, საზოგადოება ჯანსაღია.

**მიხაილ ხოდოროვსკი,**
სოლტ-ლეიკ-სიტიდან
გაზეთ „სოვეტსკი სპორტი“ 24 იანვარი, 2002 წ.

# ფეხბურთი რეგიონებში

## წალენჯიხა

### ხსოვნის ტურნირი

4 ჯგუფად დაყოფილი სამეგრელოს რეგიონის 17 გუნდი მონაწილეობდა წალენჯიხის სპორტკომპლექსში 1985-1986 წლებში დაბადებულ მინიფეხბურთელთა ასპარეზობაში, ადგილობრივი „სქურის“ ყოფილი ფეხბურთელის გურამ ჩალიგავას ხსოვნის პრიზზე. ფინალში ზუგდიდის „ოდიშს“ (მთ. მწვრთნელი ოთარ თუთბერიძე), წალენჯიხელთა „ზღვაია“ (მთ. მწვრთნელი რამაზ შენგელია) დაუპირისპირდა. იმარჯვეს მასპინძლებმა 5-4, გარდამავალი თასიც მათ ხვდათ. ინდივიდუალური პრიზები გადაეცათ: ბომბარდირისა – იაგო სამუშიას („ენგური“), მეკარისა – ლაშა ძაგანიას („ზღვაია“), საუკეთესო ფეხბურთელისა – კახა გოგოხიას („ოდიში“), მაყურებელთა სიმპათიისა – თემურ ღურწკაიას („ზღვაია“), მსაჯისა – თამაზ კვარაცხელიას.

ტურნირს მეურვეობდა წალენჯიხის რაიონის გამგეობა.

**ბელა ნაჭყებია,**
„ლელოს“ კორ. სამეგრელოს რეგიონში.

## ზუგდიდი

### ზუგდიდის „ლაზიკა“ გამგებლის იმედადაა

ზუგდიდის „ლაზიკა“, რომელიც ხუთიოდე წლის წინაა დაარსებული, როგორც გუნდის პრეზიდენტმა გავროშ ჯიქიამ აღნიშნა, მიზნად ისახავდა ბავშვთა ფეხბურთის აღორძინებას, რასაც კლუბი წარმატებით გაართმევდა თავს. თავისი ჭაბუკებით დაკომპლექტებული გუნდი 2000-2001 წლებში რეგიონული ლიგის გამარჯვებული გახდა.

„2001-2002 წწ.-ში I ლიგაში აღზევებული „ლაზიკა“ არასტაბილურ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში შთამბეჭდავ ფეხბურთს თამაშობდა. დღეს კი I წრის შედეგებით, ყველასათვის მოულოდნელად, I ლიგას ჩაუდგა სათავეში, რაც გულშემატკივართა აღფრთოვანებას იწვევს და უმაღლეს ეშელონში ზუგდიდის გამოჩენის იმედს უსახავს მათ. მაგრამ გუნდის ზრდასთან ერთად იზრდება ფინანსური მოთხოვნებიც. მოგეხსენებათ „სუპერგუნდის“ ჩამოსაყალიბებლად ქალაქის „სუპერმარკეტის“ სპონსორობა საკმარისი არ არის. „ლაზიკა“ II წრისათვის მზადებას მეტად არასახარბიელო პირობებში ხვდება – გაუცემელია ხელფასები, დასაფარია სფფ-ს 12000-ლარიანი დავალიანება, რომლის 24 თებერვლამდე გადაუხდელობის შემთხვევაში გუნდი სათასო შეხვედრაზე არ დაიშვება, შემდგომში კი შესაძლოა ჩემპიონატიდანაც მოიხსნას. დახმარებისათვის მივმართეთ ქალაქის გამგებელს, რომელიც მხარში ამოდგომას გვპირდება“ – თქვა გ. ჯიქიამ.

ზუგდიდის რაიონის გამგებელი ბატონი ნუგზარ ანთელავა ჩემთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ერთ-ერთი სოლიდური კომპანია მზადაა შემდგომში გახდეს „ლაზიკას“ სპონსორი, მაგრამ მისი დასახელებისაგან გამგებელმა ამ ეტაპზე თავი შეიკავა. თუმცა დასძინა, რომ ამ დღეებში დაიფარება გუნდის ყველანაირი დავალიანება და დაიწყება რეალური ზრუნვა გუნდის გასაძლიერებლად.

გუნდის მთავარი მწვრთნელი ბესო შეროზია თავის მხრივ ირწმუნება, რომ დაპირებების შესრულების შემთხვევაში „ლაზიკას“ უმაღლეს ლიგაში ვიხილავთ.

**ბელა ნაჭყებია,**
ლელოს კორ. სამეგრელოს რეგიონში.

# ბავშვთა ფეხბურთი

## ნორჩი დინამოელები გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობენ...

„ლელოს“ ფურცლებზე ხშირად ეცნობით სხვადასხვა ასაკის ნორჩ დინამოელთა წარმატებებს. ამ სახელოვანი სკოლის (დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ოთარ გეგეჭკორი) აღსაზრდელები ხშირად იგებენ ცალკეულ ტურნირებს. ახლახან, სპორტკლუბ „გეორგიას“ მოედანზე ამ სკოლის 1989-1990 წლიანთა გუნდმა ვეტერანი დინამოელის, პოლიციის პოლკოვნიკ ვახტანგ ჭელიძის ხსოვნის თასის ტრადიციულ გათამაშებაში იმარჯვა. 20 კლუბს შორის ფინალში ნორჩი „დინამოელის“ პირველმა გუნდმა (მწვრთნელი გოჩა ხიტირი) დაძაბულ ბრძოლაში მოუგო „ავაზას“ 3-2. მესამე ადგილი წილად ხვდა „შევარდენს“, რომელმაც 1-0 სძლია „ნორჩი დინამოელის“ მეორე გუნდს. პრიზები გადაეცათ: საუკეთესო მეკარისა — ამირან კოტრიკაძეს („შევარდენი“), მცველისა — ირაკლი ოთენაშვილს („გრანდი“), ნახევარმცველისა — გიორგი თხინვალელს („ნორჩ. დინ“—1), საუკეთესო მოთამაშისა — ნოდარ მამრაშს („ავაზა“), ტექნიკური ფეხბურთელისა — ზურაბ ტაველიშვილს („გრანდი“). გადამწყვეტი გოლისათვის პრიზი გადაეცა გიორგი მიდოდაშვილს („ნორჩ. დინ“ — I).

*სურათზე აღბეჭდილია „ნორჩი დინამოელის“ ორივე გუნდი მთავარი პრიზით, მწვრთნელებთან გოჩა ხიტირთან (მარცხნივ) და ოლეგ იმნაძესთან ერთად (ფოტოები რობერტ ბაგოიანისა)*



* * *

**სუსხიანი** ზამთრის მიუხედავად, ბავშვთა საფეხბურთო გუნდების შეჯიბრებები არც თბილისში წყდება და არც რეგიონებში. ამ დღეებში დედაქალაქის 6-მა გუნდმა გაითამაშა პრიზი სახელწოდებით „ზამთარი-2000“. ფინალში „ნორჩი დინამოელის“ 1998 წელში დაბადებულთაგან დაკომპლექტებული გუნდი შეხვდა ამავე კლუბის ერთი წლით უმცროს თანატოლებს. გაიმარჯვეს უფროსებმა 4-1.



*ნორჩ დინამოელთა გუნდები*

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რომელ ქვეყანაში დაიდგა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებისადმი მიძღვნილი ოპერა?***
ა — იტალიაში
ბ — ინგლისში
გ — ბრაზილიაში

***2. რომელი გუნდი იყო 1936 წლის (გაზაფხული) სსრ კავშირის ჩემპიონი?***
ა — მოსკოვის „სპარტაკი“
ბ — მოსკოვის „დინამო“
გ — კიევის „დინამო“

***3. დაასახელეთ 1962 წლის (ჩილე) მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტები***
ა — ჩილე — ბრაზილია
ბ — ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია
გ — ჩილე — იუგოსლავია

***4. ვინ იყო 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი?***
ა — ზიკო
ბ — ბონეკი
ბ — როსი

***5. დაასახელეთ გასული საუკუნის 60-იან წლებში ძალიან პოპულარული საფეხბურთო მსაჯი და სპორტული ჟურნალისტი.***
ა — ფილატოვი
ბ — ანძიულისი
გ — ბახრამოვი

პასუხები იხ. მე-6 გვ.



# დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი

## 1/16 ფინალის პირველი მატჩები

**24 თებერვალი**
ლოკომოტივი — თსუ
გორდა — სპარტაკი
სიონი — ალაზანი
ვიტ ჯორჯია — ჩიხურა
მილანი — ნორჩი დინამო
ცხინვალი — ჭაბ. ნაკრ.
მეტალურგი — ქობულეთი
კოლხეთი 1913 — ლოკომ (სამტრ)
ლაზიკა — გურია
ტორპედო — სამგურალი
დინამო 2 (თბ) — ივერია

**საპასუხო მატჩები გაიმართება 28 თებერვალს.**

**25 თებერვალი**
დილა — ვიტჯორჯია 2
მცხეთა — დინამო (თბ)
მერანი (ოლიმპ) — ლოკომ 2
მერცხალი — კოლხეთი 2



**26 თებერვალი**
დინამო (ბთ) — კოლხეთი (ხობ)
**საპასუხო მატჩები გაიმართება 1 მარტს.**
**შეხვედრები დაიწყება 14 საათზე**

**საფეხბურთო სეზონი ორშაბათს, სათასო მეთექვსმეტედ ფინალური მატჩებით გაიხსნება. თებერვლის ბოლომდე და მარტის დასაწყისში კი მერვედფინალისტებიც გამოვლინდებიან.**

# დავით ყიფიანი თავად იყო მასპინძელი...




**დავით ყიფიანი ადამიანი, დავით ყიფიანი პიროვნება, დავით ყიფიანი ფეხბურთელი, დიდოსტატი, მაესტრო... ჩინებული დოკუმენტური ფილმი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი წიგნი „დღესასწაულის წადილი“, ჟურნალი „ათიანი“, კომპაქტ დისკი და ეს ყველაფერი დავით ყიფიანის შესახებ, ქართული ფეხბურთის ძველი დიდების ამსახველი კადრები, რომლის ერთ-ერთი შემოქმედი თავად უამბობდა გულშემატკივრებს, თაყვანისმცემლებს, საკუთარ ბიოგრაფიას და დიდი გუნდის ჩამოყალიბების ისტორიას. კაფე „მსოფლიო სპორტში“ შეკრებილ საზოგადოებრიობას, მეგობრებს, ოჯახს, ქომაგებს, თანაგუნდელებს მასპინძლობდა დიდი დავით ყიფიანი.**

# კორღალიძემ შეგირდები ისევ შეკრიბა

მეორე საწვრთნელი შეკრება დაიწყო საქართველოს 19 წლამდე ჭაბუკთა ნაკრებმა. კორღალიძე ბიჭებს დიდუბის სპორტულ მანეჟში ავარჯიშებს და პარალელურად საკონტროლო მატჩებს მართავს. ოთხშაბათს, ჭაბუკთა მეტოქე გორის „დილა“ იყო. არცთუ სანახაობრივი მატჩი სტუმარმა, ჭაბუკთა ნაკრებმა 1-0 მოიგო. ეს ერთადერთი გოლი მატჩის 29-ე წუთზე მარცვალაძემ გაიტანა. მეტოქეთა შემადგენლობა ასეთი იყო.

**დილა:** გ. სომხიშვილი (სოლოლაშვილი 46), რ. ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი (ხანიშვილი 65), რაზმაძე, ლომიძე, მ. სომხიშვილი, სულთანიშვილი, ჯობაძე, ხორგუაშვილი (ალაბაძე 69), ხმალაძე (ოლგესაშვილი 46).

**საქართველო (U19):** თოთლაძე (ნაფეტვარიძე 46), ექონია (სულაბერიძე 46, წილოსანი 70), ლემონჯავა, ფოფხაძე, იმედაშვილი, გოგინაშვილი (კუნჭულია 60), დემეტრაძე (კაჭარავა 46), ბურნაძე, ხოჯავა, გურული (გ. ჭელიძე 46), მარცვალაძე.

ჭაბუკთა ნაკრები მეორე საწვრთნელ მატჩს დღეს გამართავს რუსთავში „გორდასთან“ და შეკრებასაც დაასრულებს. იტალიამდე კორღალიძე ნაკრებს მესამედ მარტში შეკრიბავს.

# ფედერაციაში ოფიცრები მოვლენ

**სათასო მატჩებისა და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის მოახლოებასთან ერთად, აუცილებელი გახდა ფიფას 770-ე ცირკულარის შესრულება, რომლის თანახმად ეროვნულმა ფედერაციებმა და კლუბებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სტადიონებზე უსაფრთხოების წესებს და სულაც შტატში უნდა აიყვანონ პირი, რომელიც ამ წესების შესრულებას გააკონტროლებს და ამისთვის აუცილებელ სამუშაოს ჩაატარებს. იგი გახლავთ უსაფრთხოების ოფიცერი.**

**სწორედ, სფფ-სა და უმაღლესი ლიგის თორმეტივე კლუბის უსაფრთხოების ოფიცერთა პირველი სემინარი ჩატარდება *დღეს, 21 თებერვალს 12 საათზე, ფედერაციის სააქტო დარბაზში.* დამსწრე საზოგადოებრიობა საფეხბურთო მატჩებისას უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელებს.**

# „დინამომ“ გამარჯვებებს გემო გაუგო

ხორვატიაში მყოფმა თბილისის „დინამომ“ ჰაიდუკის დამარცხება არ იკმარა და მასპინძელთა მრავალგზის ჩემპიონს მესამე დივიზიონის „ზმაიც“ ზედ დააყოლა. ამჯერად, თბილისელთა უპირატესობა ბევრად შთამბეჭდავი იყო. „დინამომ“ მეტოქე 7-1 დაამარცხა. ჩვენებურთაგან გოლები გაიტანეს: კვირკველიამ ორჯერ, ბობოხიძემ ორჯერ, იაშვილმა, სამხარაძემ და მიქაძემ. ხორვატიული ტურის ბოლო მატჩში დინამოელებმა იქაური „მოსორი“ 4-0 დაამარცხეს. ***გოლები:*** დარასელიას, მიქაძის, ბობოხიძის და იაშვილის ანგარიშზეა.

* * *

გასვლითი საწვრთნელი შეკრებები დაასრულეს „ტორპედომ“ და ბათუმის „დინამომ“. ქუთაისელებმა კორეულ „დრაკონს“ მოუგეს იონანიძისა და პოროშინის გოლებით, 2-0. ბათუმელებმა კი — დრონოვის „ლოკომოტივს“, ასევე 2-0 აჯობეს. გოლები ფურცხვანიძემ და მოდებაძემ გაიტანეს.




ვარჯიში 9



**ამოცანა.** რბენაში სიჩქარისა და მოძრაობის მიმართულების ცვლა.

**ორგანიზაცია და შინაარსი.** მოთამაშეთა ჯგუფი გაიფანტება 15-20 მ. ზომის მოედანზე. ორ მათგანს აცვია ქილეტი ან მაისურა და ითვლებიან წარმმართველად. ეს ორი ცდილობს დაეწიოს დანარჩენებს, რომლებიც თავის მხრივ, გაურბიან მდევნელს. ყოველი დაკეჭნილი „ქავდება“ იმ ადგილზე, სადაც მას წამოეწიენ, ფეხები განზე აქვს, ხელები გვერდზე გაშლილი — „როგორც ბაღის საფრთხობელა“. ამ „საფრთხობელას“ შეუძლია გააგრძელოს ვარჯიში თუ რომელიმე მოთამაშეთაგანი შეძლებს მის „გაცოცხლებას“ ფეხებში გაძრომით, ამასთან, ამ დროს არც ერთი, არც მეორე არ უნდა იყოს დაკეჭნილი.

**ინვენტარი.** ოთხი დგარი, ორი განსხვავებული ფერის ორი ქილეტი ან მაისურა.

**რეკომენდაცია.** დრო, რომელიც ესაჭიროება ორ წარმმართველს მთელი ჯგუფის „მოსაჯადოებლად“ ფიქსირდება და იქცევა ორიენტირად მეორე ჯგუფის მიერ რეკორდის მოსახსნელად.

ვარჯიში 10



**ამოცანა.** მოძრაობის რეაქციისა და სიჩქარის სრულყოფა.

**ორგანიზაცია და შინაარსი.** მოედანზე მოინიშნება ზომით 11-15 მ. კვადრატი. მთელი ჯგუფი ეწყობა ერთ მხარეს მწკრივში მწვრთნელისკენ პირსახით. მოთამაშეები გადაიცვამენ კონტრასტულ ქილეტებს და ქმნიან 2-3 გუნდს. მწვრთნელის ნიშანზე მოთამაშეები ასრულებენ გარღვევას, ცდილობენ რა სწრაფად მიაღწიონ პირობით ხაზს. მოთამაშე, რომელიც ბოლო მივა ხაზთან, მის გუნდს საჯარიმო ქულა ერიცხება. ვარჯიშის შემდეგ ქულები ჯამდება.

**ინვენტარი.** ოთხი დგარი და 1-3 კომპლექტი ნაირფერის ქილეტები.

**რეკომენდაცია.** ვარჯიში შეიძლება გართულდეს, უშუალოდ რბენისას მიმართულების შეცვლით, რომლითაც უნდა იმოძრაონ მოთამაშეებმა, ამასთან, განავითარონ რეაქცია.




**მალკოლმ კუკი**

***გაგრძელება იქნება***

დასაწყისი იხ. „ლელო“ №7-11



კვირას დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც 31 მაისამდე გასტანს. პირველობაში, ამჯერად, 12 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ორ ჯგუფში განაწილდნენ.

I **ჯგუფი** — „მარდი“ (ბათუმი), თსუ, „იმედი“ (თბილისი). ონი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის აკადემია და აფხაზეთის ნაკრები; II **ჯგუფი** — „იბერია 2000“ (თბილისი), უნივერსიტეტი (აჭარა), „ქორები“ (თბილისი), ქუთაისი, „ლოკომოტივი (თბილისი), ჭიათურა; ჯგუფებში მატჩები ორ წრედ გაიმართება. მეორე წრის ჩატარება მარტის შუა რიცხვებშია დაგეგმილი. ჯგუფების საუკეთესო ოთხი გუნდი აპრილში ფლეი-ოფებში იასპარეზებს, ჩემპიონისა და პრიზიორების ვინაობა კი, როგორც აღვნიშნეთ, მაისში გაირკვევა.

ოთხი ტურის შემდეგ ჯგუფებში ლიდერობენ: თსუ, იბერია.

სატურნირო ვითარება კი ასეთია.

**I ჯგუფი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| თსუ | 4 | 19 |
| იმედი | 4 | 7 |
| უნივ (სოხ) | 4 | 6 |
| მარდი | 4 | 4 |
| აკადემია | 4 | 3 |
| მამისონი | 4 | 0 |

**II ჯგუფი**

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| იბერია | 4 | 12 |
| ქუთაისი | 4 | 12 |
| ქორები | 4 | 6 |
| ჭიათურა | 4 | 3 |
| ლოკომ. | 4 | 3 |
| აჭარა | 4 | 0 |

## არც ზევით, არც ქვევით

საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მოლდაველებთან პაექრობას ფიფა — კოკა-კოლას სანაკრებო რეიტინგში, არაფერი შეუცვლია. თებერვლის მაჩვენებლებით ჩვენი ეროვნული გუნდი კვლავ, 92-ე ადგილზეა.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა მენეჯერს დავით ნამგალაძეს გარდაეცვალა მამა**

**ზაურ ნამგალაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

პანაშვიდი 21.02.03, 17 საათზე.
გამოსვენება შაბათს, 22.02.03. 14 საათზე.
მისამართი: ზ. ჭავჭავაძის 3 (ყოფილი შეროზიას ქუჩა). II სართული.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჩემპიონთა ლიგა — II ჯგუფური რაუნდი. III ტური

### A ჯგუფი

**ბარსელონა — ინტერი 3:0**

***ბარსელონა:*** ბონანო, რაიციგერი, ფ.დე ბური, პუიოლი, ჩავი, სავიოლა (82. ლუის ენრიკე), კოკუ, კლუივერტი, ოვერმარსი (72. როშემბაკი), გაბრი, მოტა (74 მენდიეტა).

***ინტერი:*** ტოლდო, კორდობა, ხ. ძანეტი, კ.ძანეტი, მორფეო (67. კალონი), კანავარო, დი ბიაჯო (60. ოქანი), დალმა, რეკობა, გამარა, ვიერი.

*გოლები:* 1:0 სავიოლა (7), 2:0 კოკუ



ბარსა – ინტერი

(29), 3:0 კლუივერტი (68).

*გაძევება:* რეკობა (82)

*არბიტრი:* ანდერს ფრისკი (შვედეთი).

*მაყურებელი:* 80.000.

**ლევერკუზენი — ნიუკასლი 1:3**

***ლევერკუზენი:*** ბუტი, პროისი (46. შნაიდერი), კრისი, შიმაკი, ბასთურქი, ფრანსა, ბალიტჩი (79. კალუენი), ოჯიგვე, ბრდარიჩი, ნოივილი, კლეინი.

***ნიუკასლი:*** გივენი, ო'ბრაიენი, ჯენასი, დაიერი, სპიდი, ჰიუზი, ბრემბლი, ლუა ლუა (85. ჩოპრა), ამეობი (85. კორტი), რობერი, ბერნარი.

*გოლები:* 0:1 ამეობი (6), 0:2 ამეობი (16), 1:2 ფრანსა (26), 1:3 ლუა ლუა (32).

*არბიტრი:* ტერიე ჰაუგე (ნორვეგია).

*მაყურებელი:* 22 000.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| **ინტერი** | 3 | 2 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| **ნიუკასლი** | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| **ლევერკუზ.** | 3 | 0 | 0 | 3 | 4-8 | 0 |

### B ჯგუფი

**რომა — ვალენსია 0-1**

***რომა:*** პელიცოლი, კაფუ, ძებინა, ალდაირი, ლიმა, მონტელა (46., კასანო), ტომაზი, პანუჩი, დელვეკიო (54 ბომბარდინი), გიგუ, დელასი (54 კუფრე).

***ვალენსია:*** კანისარესი, პელეგრინო, აიალა, ალბელდა, ქერიუ, ბარახა, ვისენტე (63. კილი გონსალესი), კარბონი, რუფეტე (72 მისტა), აიმარი (89. მარჩენა), რევეირი.

*გოლი:* 0:1 ქერიუ (78).

*არბიტრი:* ვოლფგანგ შტარკი (გერმანია).

*მაყურებელი:* 45 542.

**არსენალი — აიაქსი 1:1**

***არსენალი:*** სიმენი (46. ტეილორი), კოული, ვიეირა, პირესი, ბერგკამპი (85, კანუ), ვილტორი, ლორენი, ანრი, სიგანი, ჟილბერტუ (73. ჯეფერსი), კემპბელი.

***აიაქსი:*** ლობონტი, ტრაბელსი, გალაშეკი, კივუ, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი (79, ბუკარი), პიენაარი (90. იაკუბუ), მაქსველი, პასანენი, ვან დამი (76. ვიჩგე), დე იონგი.

*გოლები:* 1:0 ვილტორი (5), 1:1 დე იონგი (17).

*არბიტრი:* ლუსილიუ კარდოზო (პორტუგალია).

*მაყურებელი:* 49 000.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| **აიაქსი** | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| **ვალენსია** | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| **რომა** | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

### C ჯგუფი

**მილანი — ლოკომოტივი 1-0**

***მილანი:*** დიდა, ბროკი (79. შიმიჩი), კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, გატუზო, პირლო, რუი კოშტა (63. სერჟინიო), რივალდო, ტომასონი (68. ზეედორფი), ინძაგი.

***ლოკომოტივი:*** ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი (83. პარკსი), მამინოვი, ლოსკოვი, პაშინინი, ბუზნიკინი (46.იზმაილოვი), სენიკოვი, ობრადოვიჩი, პიმენოვი.

*გოლები:* 1:0 ტომასონი (63)

*არბიტრი:* ჟილ ვეისიერი (საფრანგეთი)

*მაყურებელი:* 55 000.

**რეალი — ბორუსია 2:1**

***რეალი:*** კასილიასი, მიჩელ სალგადო, ივან ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფლავიო კონსეისაო, მაკელელე, ფიგუ, ზიდანი (81. სოლარი), რონალდო (74. გუტი), რაული.

***ბორუსია:*** ლემანი, ევანილსონი (83. რიკენი), ვიორნსი, მეცელდერი, როიტერი (76. კელი), ფრინგსი, დედე, როსიცკი, კოლერი, ევერტონი, ამოროზო (67. რეინა).

*გოლები:* 0:1 კოლერი (30), 1:1 რაული (43), 2:1 რონალდო (56).

*არბიტრი:* ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

*მაყურებელი:* 65 000

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 3 | 3 | 0 | 0 | 3-0 | 9 |
| **რეალი** | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| **ბორუსია** | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| **ლოკომოტ.** | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |



რეალი – დორტმუნდი

### D ჯგუფი

**მანჩესტერი — იუვენტუსი 2-1**

***მანჩესტერი:*** ბარტეზი, გ. ნევილი, ფერდინანდი, ბრაუნი, სილვესტრი (53. ოში), ბატი, კინი, სქოულზი (85. სოლსკიაერი), ბექჰემი, გიგზი (90. ფორლანი), ვან ნისტელროოი.

***იუვენტუსი:*** კიმენტი, ფერარა, ტაკინარდი, მონტერო, პესოტო, კამორანეზი, ნედვედი, ძენონი, დავიდსი, ტრეზეგე (66. ოლივერა), სალაიეტა.

*გოლები:* 1:0 ბრაუნი (4), 2:0 ვან ნისტელროოი (85), 2-1 ნედვედი (90)

*არბიტრი:* კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

*მაყურებელი:* 66 177

**ბაზელი — დეპორტივო 1:0**

***ბაზელი:*** ცუბერბიულერი, ცვისიგი, ჰ. იაკინი (85. ვარელა), ბარბერისი, ხიმენესი, მ. იაკინი, კანტალუპი, ჰაასი, ატუბა, ჩიპერფილდი (70. დურუზი), როსი (51. ჰიუგელი).

***დეპორტივო:*** ხუანმი, რომერო, ნაიბეტი, სკალონი, ანდრადე, სერხიო გონსალესი (81. აკუნია), დონატო (46. დიეგო ტრისტანი), დუშერი, ექტორი, ლუკე (64 ამავისკა), მაკაი.

*გოლები:* 1:0 ჰ. იაკინი (30)

*არბიტრი:* რენე ტემინკი (ჰოლანდია)

*მაყურებელი:* 20 000



მანჩესტერი – იუვენტუსი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| **იუვენტუსი** | 3 | 1 | 1 | 1 | 7-4 | 4 |
| **ბაზელი** | 3 | 1 | 0 | 2 | 2-7 | 3 |
| **დეპორტივო** | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

## დენის ლოუ — თარიღი



დენის ლოუ

**1940 წლის 24 თებერვალს დაიბადა შოტლანდიური ფეხბურთის ვარსკვლავი დენის ლოუ, რომელიც წარმატებით იცავდა ინგლისური კლუბების „მანჩესტერ იუნაიტედის", „მანჩესტერ სიტისა" და იტალიური „ტორინოს" ღირსებას. იყო ინგლისის ჩემპიონი 1964 და 1967 წლებში, 1963 წელს გახდა ინგლისის თასის მფლობელი. შოტლანდიის ნაკრების ღირსება 55-ჯერ დაიცვა და 30 გოლი გაიტანა. იყო მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის მონაწილე. 1964 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.**

**დენის ლოუ 60-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბრიტანეთში. მას „მსოფლიოს საოცრებას" ეძახდნენ, — „ტორინოდან" მისმა ტრანსფერმა „მანჩესტერ იუნაიტედში" იმ დროისათვის ფანტასტიკური თანხა — 115 ათასი ფუნტი შეადგინა. ამ რეკორდმა მრავალი წელი გაძლო ბრიტანეთში.**

## ბექჰემის ცოლი ფერგიუსონს ემუქრება

„არსენალთან" სათასო მატჩის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის მიერ ბუცის სროლამ დევიდ ბექჰემის მისამართით სკანდალური გაგრძელება მოჰყვა. ფერგიუსონი აცხადებდა, რომ ეს შემთხვევით მოუვიდა, ბექჰემმა კი ოფიციალურად ბოდიშის მოხდა ითხოვა მისგან, თუმცა მანჩესტერელთა თავკაცმა ამაზე იუარა. მისი თქმით, ბექჰემს წარბთან ჭრილობა ექიმებმა „მიაკერეს", რადგან ფეხბურთელს სურდა, გასახდელში მომხდარ „მცირე კამათს" დიდი გამოხმაურება მოჰყოლოდა პრესაში. ამის შემდეგ ბექჰემის მეუღლემ, „სფაის გერლზს"-ის ყოფილმა სოლისტმა ვიქტორია ადამსმა ალექს ფერგიუსონს „აღუთქვა", რომ მსგავსი ფაქტის გამეორების შემთხვევაში, თავად გალახავს მას...



ვიქტორია ადამსი

ბექჰემთან დაკავშირებით, კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა: „რეალის" პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს უთქვამს: ორ წელიწადში ეს ფეხბურთელი ჩემს გუნდში ითამაშებსო.

## ზელკიავიჩუსმა ლიტვის ნაკრები დატოვა

ლიტვის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბენიამინას ზელკიავიჩუსმა პოსტი დატოვა, ამის მიზეზად ორი გარემოება დაასახელა. მთავარი კი ისაა, რომ ზელკიავიჩუსს სურს, მთელი ყურადღება დაუთმოს თავის გუნდს — კალინინგრადის „ბალტიკას" და მეორე, — მას არ მოეწონა ლიტვის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელის საქმისადმი დამოკიდებულება. ამიერიდან ლიტვის ნაკრებს ალგიმანტას ლიუბინსკასი უთავკაცებს.

## კეჟმანი ნაკრებს აღარ დაეხმარება

**სერბმა ფეხბურთელმა მატეო კეჟმანმა განაცხადა, რომ ამიერიდან აღარ დაიცავს თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსებას. მან სერბია-ჩერნოგორის (ყოფილი იუგოსლავიის) ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან სტოიკოვიჩთან სატელეფონო საუბარში თქვა, რომ ქვეყნის ნაკრების სათამაშო სტილი დიდად განსხვავდება პსვ „ეინდჰოვენის" ტაქტიკასთან, რომლის ღირსებასაც თავად იცავს. სტოიკოვიჩის თქმით, კეჟმანი ემოციებმა „აიტანა", — ის ხომ ერთ-ერთი დამნაშავე იყო აზერბაიჯანის სუსტ გუნდთან გამართული ამასწინანდელი მატჩის უჩვეულო შედეგით (2-2) დასრულებისა.**

## ისრაელის ნაკრებს შესარჩევი ეტაპიდან გარიცხვა ემუქრება?

ევროპის საფეხბურთო ასოციაცია აცხადებს, რომ ისრაელის ნაკრებს მოკვეთავს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან, თუ ამ ქვეყნის ფედერაციის ხელმძღვანელობა დღეს არ წარმოადგენს პალერმოში „საშინაო" მატჩების ჩასატარებლად აუცილებელ დოკუმენტებს (როგორც იცით, ისრაელში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების ფონზე ამ ქვეყნის გუნდებს ეკრძალებათ საერთაშორისო მატჩების შინ ჩატარება).

2 აპრილს ისრაელის ნაკრები პალერმოში მიიღებს საფრანგეთის ნაკრებს, ხოლო 30 აპრილს, — კვიპროსის გუნდს.

ისრაელის ფეხბურთის ფედერაცია თავის მხრივ არწმუნებს უეფას, რომ დოკუმენტებს აუცილებლად წარადგენენ.

## ანჩელოტი მაინც უკმაყოფილოა



**„მილანის" მწვრთნელი ანჩელოტი ჩემპიონთა ლიგის მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივთან" გამარჯვების (1-0) მიუხედავად, მაინც უკმაყოფილო დარჩა საკუთარი გუნდის თამაშით.**

**„ჩვენ ვაკონტროლებდით სიტუაციას, მაგრამ ამავე დროს ფეხბურთელები ძალიან ნელა მოძრაობდნენ" — ამბობს ანჩელოტი (სურათზე). ამავე აზრისაა „მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინიც.**

## რუუდ გულიტი ისევ მწვრთნელობას იწყებს

3-წლიანი შესვენების შემდეგ ჰოლანდიელი რუუდ გულიტი ისევ მწვრთნელის პროფესიას უბრუნდება. ის, შესაძლოა, სათავეში ჩაუდგეს ინგლისურ საფეხბურთო კლუბ „ფულემს". ამ უკანასკნელის ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელს ჟან ტიგანას კონფლიქტური დამოკიდებულება აქვს „ფულემის" პრეზიდენტთან — მუჰამედ ალ-ფაიედთან, რომელიც მისგან გუნდის წარმატებებს ითხოვს.

რუუდ გულიტი თავის დროზე წვრთნიდა ისეთ გუნდებს, როგორებიცაა „ჩელსი" და „ნიუკასლი".

„მე საქმიანობაში მეტად საჭირო პაუზა მქონდა და აი, დადგა ჩემი დაბრუნების დროც, ფეხბურთი ხომ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია", — განაცხადა ჰოლანდიური ფეხბურთისა და „მილანის" ყოფილმა ვარსკვლავმა. ისიც დაამატა, რომ სამწვრთნელო კარიერას მხოლოდ ინგლისში გააგრძელებს.

## კოსტიუმით მოედანზე გამოჩნდა და...

**თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ საფეხბურთო კლუბ „ფენერბახჩეს" მთავარ მწვრთნელს ოგიუზ ჩეტინს ერთთვიანი დისკვალიფიკაცია მისცა იმის გამო, რომ „ანკარაჯიუსთან" მატჩის დროს... ეცვა კოსტიუმი. ფედერაციის დებულების თანახმად მთავარი წვრთნელის ასისტენტებს ეკრძალებათ ტრიბუნების გაზონს იქით სამოქალაქო ტანსაცმლით შესვლა. ალბათ, გაგიკვირდათ, ჩეტინო ხომ მთავარი მწვრთნელიაო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „ფენერბახჩეს" თავკაცს აქვს... მთავარ მწვრთნელის ასისტენტის ლიცენზია.**

## ფრანგებს ფეხბურთისადმი ინტერესი შეუნელდათ

ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა" ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგების მიხედვით, გაირკვა, რომ ფეხბურთის ფრანგ გულშემატკივრებს უფრო მეტად ქვეყნის ნაკრების ასპარეზობა აინტერესებთ.

51 პროცენტი კი საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებს სულაც არ ადევნებს თვალს. სტადიონებზე მხოლოდ გამოკითხულთა 48 პროცენტი დადის. სპეციალისტები ამის მიზეზად მიიჩნევენ იმას, რომ ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავთა უმრავლესობა საზღვარგარეთ თამაშობს.

## იტალიის ხელისუფლებამ სერია „ა" გადაარჩინა

**იტალიის პარლამენტმა მიიღო ახალი ბიუჯეტი, საიდანაც სერია „ა"-ს გუნდებს 10-წლიანი კრედიტი გამოუყო 2 მილიარდი ევროს ოდენობით. ამით, ხელისუფლებამ სერია „ა"-ს გუნდები გაკოტრებისაგან გადაარჩინა. არადა, გასულ შემოდგომაზე რამდენიმე კლუბმა თითქმის გამოუვალი მდგომარეობიდან დაიხსნა თავი.**

## ტელეკომენტატორს უჩივლა...

ესპანური საფეხბურთო კლუბ „ოსასუნას" ნახევარმცველი ლიონელ განჩედო აპირებს სასამართლოში უჩივლოს ადგილობრივი ფასიანი ტელეარხის სპორტულ კომენტატორს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მომჩივანის გუნდის შემადგენლობაში არყოფნის არასწორი მიზეზი დაასახელა მადრიდის „რეალთან" მატჩის ტრანსლაციის მიმდინარეობისას.

კერძოდ, კომენტატორმა განაცხადა, რომ განჩედო სამართალდამცავმა ორგანოებმა ნასვამ მდგომარეობაში დააკავეს. ახლა ფეხბურთელი მოითხოვს ახსნა-განმარტებას საზოგადოებისათვის იმავე ტელეარხის საშუალებით.

## ეფენბერგს „ჰამბურგში" თამაში არ სურს

**გერმანული ფეხბურთის კოლორიტად აღიარებულმა შტეფან ეფენბერგმა არ მიიღო საფეხბურთო კლუბ „ჰამბურგის" სპორტული დირექტორის დიტმარ ბაიერ-სდორფერის წინადადება, გადასულიყო ამ გუნდში სათამაშოდ. გერმანიის ნაკრების ექსლიდერს თავის ამჟამინდელ კლუბთან — „ვოლფსბურგთან" კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობა ცდილობს, როგორმე ერთი წლით მაინც გაუგრძელოს „ვოლფსბურგში" ყოფნის ვადა.**

# ნბა

## ბრაიანტს ვერავინ აჩერებს


ლეიკერსი – იუტა

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლეიკერსმა“ სტუმრად 93:87 დაამარცხა „იუტა ჯაზი“. სტუმართა გუნდის შემადგენლობაში კვლავ საუკეთესოდ ითამაშა კობი ბრაიანტმა, რომელმაც 40 ქულა მოაგროვა. სხვათა შორის, მან უკვე მოხსნა ნბა-ს რეკორდი: უკვე მეშვიდე თამაშია, 40 ქულაზე მეტს აგროვებს.

რაც შეეხება „იუტა ჯაზს“, ამ გუნდის შემადგენლობაში ყველაზე უკეთ კარლ მელოუნმა ისპარეზა (25 ქულა).

***სხვა მატჩები.*** კლიპერსი — მილუოკი 110:104, „პორტლენდი“ — „გოლდენ სტეიტი“ 125:98, „დენვერი“ — „მინესოტა“ 77:85, „ტორონტო“ — „დეტროიტი“ 84:89, „ნიუ ორლეანი“ — „ვაშინგტონი“ 87:75, „ფინიქსი“ — „ჰიუსტონი“ 89:107, „ჩიკაგო“ — „ფილადელფია“ 82:110, „სიეტლი“ — „ნიუ-იორკი“ 103:94.

## „ოქროს ბიჭუნა“ კამპასის გასალახად ემზადება

ვბა-სა და ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი საშუალო წონაში ოსკარ დე ლა ჰოია 3 მაისს შეებრძოლება იორ ბოი კამპასს.

„ოქროს ბიჭუნამ“ (ასე უწოდებენ ოსკარ დე ლა ჰოიას) განაცხადა, რომ ის იოლ გამარჯვებას გეგმავს: „კამპასს ჩემი გალახვა არ შეუძლია, რადგან, ამის საშუალებას მას არ მივცემ“.

ოსკარი შემოდგომაზე შეინ მოსლისთან ან ფერნანდო ვარგასთან შეხვედრას აპირებს.

*სურათზე: დე ლა ჰოია გულშემატკივართა გარემოცვაში.*






## მაიკ ტაისონი მაგჩს ახალი იმედით და ახალი ტატუირებით ხვდება

პროფესიულ კრივში მსოფლიოს ექსჩემპიონი მაიკ ტაისონი კლიფორდ ეტიენთან ხვალინდელ შეხვედრაში აუცილებლად გამოვა რინგზე. რამდენიმე დღის წინ „რკინის მაიკს“ სურდო შეეყარა და მისი გამოსვლა შაბათის ორთაბრძოლაში სათუო იყო, თუმცა ბოლო მომენტში ტაისონმა ბრძოლის გადადება არ ისურვა.

ავადმყოფობის დღეებში ტაისონი იმით გაერთო, რომ სახის მარცხენა მხარე მოიხატა გაურკვეველი ორნამენტით.

ტაისონ — ეტიენის შეხვედრაზე დასასწრები 12 ათასი ბილეთი სრულად გაყიდულია. სპეციალისტები უპირატესობას, რა თქმა უნდა, „რკინის მაიკს“ ანიჭებენ.



## მელოუნი „ოცნების გუნდში“ ითამაშებს

ნბა-ს კლუბ „იუტა ჯაზის“ ფორვარდი კარლ მელოუნი თანახმაა დაიცვას აშშ-ს ნაკრების ღირსება ათენის 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში. მის გარდა, „ოცნების გუნდში“ შეყვანილი არიან: მაიკ ბიბი („საკრამენტო“), რეი ალენი („მილუოკი“), ჯეისონ კიდი („ნიუჯერსი“), ტრეისი მაკგრედი („ორლანდო“), ტიმ დანკანი („სან-ანტონიო“).

## კიდევ ერთხელ, ამჯერად უკანასკნელად გაცურავს

ცნობილმა ავსტრალიელმა მოცურავემ გრძელ დისტანციებზე სიუზი მარონიმ განაცხადა, რომ ამთავრებს თავის სპორტულ კარიერას. 28 წლის მოცურავის გადაწყვეტილება განაპირობა თავისი ტყუპისცალი ძმის შონის დაღუპვამ, რომელიც ჰავაის კუნძულებზე ერთ-ერთი სასტუმროს მაღალი სართულიდან გადმოვარდა. სიუზი მარონიმ, რომელიც დიდების საერთაშორისო დარბაზის ლაურეატია, სახელი გაითქვა იმით, რომ შეძლო გადაეცურა დისტანცია კუბიდან ფლორიდამდე, მექსიკიდან — იამაიკამდე, აგრეთვე მან გადალახა ლა-მანჩის სრუტე.

სიუზის თქმით, კვირას ის უკანასკნელად გასცურავს 20-კილომეტრიან დისტანციას სიდნეის გარშემო.

## ფული იშოვეს...

ჰოკეისტთა მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონატი ისევ ჩეხეთში გაიმართება. როგორც იცით, ბოლო პერიოდში წამოიჭრა საკითხი, რომ ეს ღონისძიება რუსეთში გადაეტანათ, ვინაიდან ჩეხეთის ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა პრაღაში ახალი ჰოკეის დარბაზის აშენებისათვის საჭირო ფინანსური გარანტიები.

ორიოდე დღის წინ მსოფლიო ჩემპიონატის ჩეხმა ორგანიზატორებმა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციას წარუდგინეს 200 მილიონი დოლარის საბანკო გარანტიები.

## რუსული რაგბის ვარსკვლავი გრიპმა იმსხვერპლა

რაგბიში რუსეთის მრავალგზის ჩემპიონის კრასნოიარსკის „ენისეის“ მოთამაშე იური კოშელევი გუშინ ქალაქის საავადმყოფოში გრიპის ძლიერი ეპიდემიისაგან გამოწვეული გულის უკმარისობით გარდაიცვალა. 10 დღის წინ კოშელევს გრიპის ეპიდემია შეეყარა და საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობით მოათავსეს. მანამდე კი ის უშედეგოდ ცდილობდა გამკლავებოდა დაავადებას.

## ლეილა ალი ისევ იმარჯვებს



აფსუს, ლეგენდარულ მუჰამედ ალის (სურათზე მარცხნივ) ბიჭი რომ შესძენოდა, რა დიდებულად გააგრძელებდა მამის ტრიუმფს ტაისონ-ლუისის ეპოქაში. ალის გოგო შეეძინა, თუმცა ისიც ღირსეულად აგრძელებს ტრადიციას. ლეილა ალიმ უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძოლა მოიგო პროფესიულ რინგზე.

გუშინ მუჰამედ ალის ქალიშვილმა ლუისველში მარი-ენ ალმაგერი დაამარცხა. სხვათა შორის, ლუისველში ალი 40-50 წლებში ცხოვრობდა და დარბაზი, სადაც ლეილამ იმარჯვა, სწორედ მუჰამედ ალის ქუჩაზე მდებარეობს. თვით კრივის ლეგენდა ავადმყოფობის გამო, ვერ დაესწრო ქალიშვილის ბრძოლას.

## კლიჩკოს ხელთათმანები 10 ათას ევროდ გაიყიდა

სანამ ვიტალი კლიჩკოს ადვოკატები ემზადებიან ლენოქს ლუისთან სასამართლოს პროცესისათვის, თავად უკრანელი მოკრივე საზოგადოებრივი საქმიანობითაა დაკავებული. მან ახლახან მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო აუქციონში „კინო მსოფლიოსათვის“, რომელიც ბერლინში ჩატარდა.

აუქციონს კლიჩკოს გარდა დაესწრნენ ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორებიც არიან დასტინ ჰოფმანი, როჯერ მური, კატრინ დენევი, ჯორჯ კლუნი და სხვები.

აუქციონზე გასაყიდად სწორედ ამ პოპულარული ადამიანების ნივთები გამოიტანეს. ვიტალი კლიჩკოს ხელთათმანები (რომლითაც უკრაინელი გადაიღეს ფილმში „ოკეანე 11“-ში) 10 ათას ევროდ გაიყიდა. სულ აუქციონზე შემოვიდა 250 ათასი ევრო. ეს თანხა გადაეცემა საომარ მოქმედებების რეგიონებში ბავშვებს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




21 თებერვალი, პარასკევი

***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა (13.20, 19.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.00), ჩემპიონთა ლიგა (15.30), ჩემპიონთა ლიგის მატჩების მიმოხილვა (17.15), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (22.00, 23.45), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.30). ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (12.10, 14.10, 16.50, 18.25, 20.55, 22.55), ტაილანდური კრივი (0.25), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩეპიონატი და თასი (11.45, 12.15, 13.30, 14.15, 15.30, 16.30, 21.00), ფეხბურთი. უეფას თასი (19.30), სუპერკროსი, მსოფლიო ჩეპიონატი (1.00).

22 თებერვალი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* რაგბი. ევროპის ერთა თასი. საქართველო – ესპანეთი. რეპორტაჟი ბორის პაიჭაძის სახ. სტადიონიდან (14.55), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.15), ***НТВ.*** სუპერკრივი. მაიკ ტაისონი – ბასტერ დუგლასი (0.30), *ტელეცენტრი.* მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი (1.15). ***НТВ плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი. (13.45), ინგლისის ჩემპიონატი: „ბოლტონი“ – „მანჩესტერ იუნაიტედი“. პირდაპირი ტრანსლაცია (15.55), ინგლისის ჩემპიონატი (20.40). „ფუტბოლ მუნდიალი“ (17.55), გერმანიის ჩეპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი (18.25, 22.25), ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.25). ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (12.25, 13.25, 13.40, 15.00, 18.15, 19.00, 21.00), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.00). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (11.30, 12.30, 13.30, 14.30, 15.00, 16.15, 18.15, 19.30, 20.00), ფეხბურთი დარბაზებისთვის. ევროპის ჩემპიონატი (22.45, 0.15, 0.30. გადაცემა იტალიიდან).

23 თებერვალი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ლიდერთა ჯგუფი. თბილისის „დინამო“ – რუსთავის „აზოტი“. რეპორტაჟი ვერის ბაღის კალათბურთის სასახლიდან (15.45), *მე-9 არხი.* „მსოფლიო ფეხბურთი“ (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი (13.15), ესპანეთის ჩემპიონატი (15.00, 1.35), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (16.40), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55, 23.25), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (20.25), „ფუტბოლ მუნდიალი (22.55), ***НТВ плюс спорт.*** პროფესიული კრივი. მაიკ ტაისონი – კლიფორდ ეტიენი (6.00), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (12.25, 14.40, 16.50, 20.55), პროფესიული კრივი (18.30), საჭადრაკო მიმოხილვა (23.30), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (11.30, 13.30, 14.30, 15.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.00), მძლეოსნობა (1.00).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაგბის კლუბი ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე კლუბის დამფუძნებელსა და სპონსორს ვასილ ჩიგოგიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.
პანაშვილი 21,22.02; გამოსვენება 23.02, საგურამოდან 13 სთ-ზე, ვერის ეკლესიიდან — 14 სთ-ზე.

## კროსვორდი № 12



თარაზულად: 2. ერთ-ერთი სვლა ჭადრაკში, 4. აფრონსნობის ერთ-ერთი კლასი, 7. ქართველი ვეტერანი წყალბურთელი, თამაშობდა მოსკოვში, 9. სოკის პრეზიდენტი, 10. ავტორბოლის სახეობა, 11. ნაბიჯით... 15. სპორტის შედეგის შეფასების გამომხატველი, 18. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონი ქვეყანა, 20. შეჯიბრების წესთა კრებული, 22. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში, 23. ძალოსნობის პროგრამა, 24. ცნობილი რუსი ფალავანი.

შვეულად: 1. ლახტის სათამაშო ინვენტარი, 3. მოძრაობა ტანვარჯიშში, 4. ფრანგი მწვრთნელი საქართველოში, 5. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 6. კრივში პაექრობის დაწყებისა და დამთავრების მაუწყებელი სიგნალი, 8. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის (ინგლისი) თილისმა, 12. სამაგიერო გამარჯვება, 13. ტანვარჯიშული იარაღი, 15. მძლეოსნობის იარაღი, 16. ვეტერანი ფეხბურთელი, ამჟამად თბ. „დინამოს“ სელექციონერი, 17. უკრაინელი ჭოკით მხტომელი, 19. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 21. ქუთაისის მორაგბეთა კლუბი, 22. საყამო შედეგი.

### კროსვორდი №11-ის პასუხები:

თარაზულად: 3. ლი, 4. ისარი, 6. ფანდი, 9. „დილა“, 10. ეში, 12. ლახტი, 13. კვარცხლბეკი, 15. ნიკე, 17. კაფუ. 20. მძლეოსნობა, 22. ზიკო, 25. ფორა, 26. ლოუ, 28. ვარდიმიადი, 29. ნბა. შვეულად: 1. ვლადიკავკაზი, 2. საბატინი, 5. ალე, 7. დიტო, 8. ალტაი, 11. „შალკე“, 14. მეფე, 16. სუმო, 18. ინსაიდი, 19. რბოლა, 21. „ომონია“, 23-24. კოკა, შიდო, 27. უშბა.

„თქვენთვის, ერუდიტებო!“ (მე-2 გვ.) პასუხები: 1-გ, 2-ა, 3-ბ, 4-გ, 5-ბ.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლe2!
1. ...მფd5 2. ლd3X+ მფ – 3.ლd7X.
1. მფf5 2. ლf3+ მფ – 3. ლf7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com